66. შერენგენი (ჰოლანდია)	1	6	1	1	4	3:9	6
67. ოლბორგი (დანია)	1	6	1	1	4	5:12	6
68. მარიბორი (სლოვენია)	1	6	1	1	4	2:12	6
69. მოლდე (ნორვეგია)	1	6	1	0	5	6:14	6
70. ბრონდბიუ (დანია)	1	6	1	0	5	4:18	6
71. აეკ (საბერძნეთი)	1	6	0	2	4	3:9	6
72. ვილემი (ჰოლანდია)	1	6	0	2	4	7:15	6
73. ცსკა (რუსეთი)	1	6	0	2	4	2:11	6
74. რაპიდი (ავსტრია)	1	6	0	2	4	2:12	6
75. ლიერსი (ბელგია)	1	6	0	1	5	3:12	6
76. აიკ (შვედეთი)	1	6	0	1	5	4:16	6
77. კოშიცე (სლოვაკეთი)	1	6	0	0	6	2:13	6

პრეზიდენტს ააბეს



მარტ საფინს ტაშენტურ ხვატან შეგუება უკირს, მერამ მინც იგებს

ტაშენტი (უბეკეთი) პრეზიდენტის თასი პარდა. საპრიზო 550 ათასი \$

უბეკი ხალხის მამას, ისლამ ქარიშხის, მრავალ საკითხთან ერთად უსბეკი ერისთვის საზოგადოებრივი ტურნირი უწყებია, თან მისთვის თავისი სახელიც დაურქმევია. ტურნირის სოლიდურობაზე გვარაინი საპრიზო ფონდის შეტყვევებას. პრეზიდენტის თასისთვის დედამიწის მეზობელთა ხელა ეშელონის წარმომადგენლებიც არ თაკილობენ ხელის უწყევას. მაგალითად, იქ არიან სანაქებო რუსები — მარატ საფინი და უკვენი კაფელინიკოვი, კიდევ ბევრი სხვა რიგიანი ჯეკელი და მათთან ერთად, რაღა თქმა უნდა, უბეკი ჩოგბურთელეზიც რომელთათვისაც „პრეზიდენტის თასი“ საზოგადოებრივი საფაროსთვის თავის შესხენების ღამის ერთადერთი შანსია. ორგანიზატორებსა სამი თანამემამულე დაუშვს ტურნირზე, სამივე უაილდ ქარდით და მათგან ოდენ ერთმა შეიშნო საჩუქარი და ასახელა ბატონი ისლამი 29 წლის ოლეგ ოგოროდოვმა უდაბბულეს ორსაათიან ორმაგ ტაიბრეიკიან მატჩში 7:6, 7:6 დააოქა ამ ტურნირის მარშანდელი ფინალისტი, ხტალიელი დავიდე სანგვინეტი, რომელიც მეშვიდე ნომრად განეთესათ. „კედილობი, ჩემი თამაში მეთამაშ... სანგვინეტს ძალიან უნდოდა მოგება და ჩანდა, ნერვიულობდა“ — ამბობდა ნაშატჩევს ოგოროდოვი. მსოფლიოს 54-ე ჩოგანის დამარცხების შემდეგ უბეკს კარგი შანსი აქვს, კიდევ წაიწიოს წინ მეორე წრეში მისი მეტოქე იტალიელზე ნაკლებად ცნობილი დანიელი კრისტიან პლეგია.

პირველმა წრემ სანგვინეტის გარდა კიდევ სამი განთესილი — ბელგიელი ქსაიე მალისი, გერმანელი ნიკოლას კიფერი და ფრანგი ფლიენ ბუტიე შეიწირა ამ უკანასკნელს ჩვენმა მეზობელმა, სომეხმა სარგის სარგსინამ სძლია. ასე თუ ისე, პირველი წრე გაიარა უპირველეს ფავორიტთა რუსულმა წყვილმა. ეკვენი კაფელინიკოვს, აღბათი, ჯერაც არ დავიწყებია, როგორ გაანადგურა ამ უქმეებზე აფერიის ღია პირველობის ნახევარფინალში ლეიტონ ჰიუიტსა და იქნებ სწორედ ეს უშლის ხელს თავისი საზოგადოებრივი ნიჭის სრულად გამოვლენაში. თენამ პირველ წრეში გერმანელი ღარს ბურესმიულერის დამარცხებას საათნახევარზე მეტი მოანდომა. იქნებ მეტიც დასჭირებოდა, მეორე სეტის ტაიბრეიკში რომ არ ეცოჩადა. თენიაზე ნაკლებად როდენ გაისარჯა ამერიკის და პირველობის კიდევ ერთი ნახევარფინალისტი და „პრეზიდენტის თასის“ მარშანდელი გაპარჯებული მარატ საფინი. მან კაფელინიკოვზე ილადა, 6:4, 6:2 კი სძლია მეტოქეს, მაგრამ შუახზიურ ხვატში ბლომად ოფლი ღვარა. მარატს თურმე ტაშენტურ სიცხესთან შეგუება უჭირს, აკლიმატიზაციის პრობლემა აქვს.

პირველი წრე. მარატს სავსე (1, რუსეთი) — ნომ ოკუნი (ისრაელი) 6:4, 6:2;

ოლგა ოზოროდოვი (უბეკეთი) — დევიდე სანგვინეტი (7, იტალია) 7:6 (7:3), 7:6 (7:4); სანგვინეტი (4, პოლანდია) — მიკელ რასელი (აშშ) 6:4, 6:2; სანგვინეტი (6, ბელგია) 2:6, 6:3, 7:6 (8:6); დევიდე სანგვინეტი (3, სლოვაკეთი) — მაიკლ კრატოხილი (შვეიცარია) 7:6 (7:5), 6:4; დევიდე სანგვინეტი (ჩეხეთი) — ნიკოლას კიფერი (5, გერმანია) 7:5, 6:4; დევიდე სანგვინეტი (2, რუსეთი) — ღარს ბურესმიულერი (გერმანია) 6:4, 7:6 (7:2); მეორე წრე. მარატს — ენტონი დიუპუი (საფრანგეთი) 6:4, 6:0; სანგვინეტი — ჯანლუკა პოცი (იტალია) 6:2, 7:5; სანგვინეტი — ტილორ ფენტი (აშშ) 6:4, 6:2; მარატს — იან კროსლავი (სლოვაკეთი) 7:5, 6:1

სალვადორი. ბრაზილიის დია პირველობა თინხარი. საპრიზო 375 ათასი \$

მსოფლიოს პირველი ჩოგანი, ბრაზილიელი გუსტავო კუერტენი სულაც არაა ურიგო ბიჭი, მაგრამ ამ დღეებში ნამდვილად დომინანტურა აუვი სიტყვა. ორმაბათს მშობლიური ბრაზილიის ეკვატორისპირა ქალაქ სალვადორში დას-



გუსტავო კუერტენს სამშობლოში დასცხა

ყვულ ტურნირში გუგამ პირველი წრის მატჩში პირველ სეტი 6:4 კი მოუვო უცნობ თანამემამულეს, ფლავიო სარეტას, მაგრამ მერე გაოჩნდა და მეტოქეს ორი სეტი და ჯამში მეორე წრის საგზური აჩუქა.

ლათინებით გადაჭვდილი ტურნირის მეორე წრეში ადგილი არ მოიძებნა მესამე ნომრად განთესილ ბელარუს ვლადიმერ ვოლჩკოვისთვის, მას პარაგვაელმა რაიმონ დელგადომ 7:5, 7:5 სძლია. დანარჩენმა ექვსმა განთესილმა მშვიდობიანად გაიარა პირველი წრე, ზოგიერთმა კი მეორე წრეც უკან მოიტოვა.

პირველი წრე. ფლავიო სარეტა (ბრაზილია) — გუსტავო კუერტენი (1, ბრაზილია) 4:6, 6:2, 6:4; იან მარინი (ჩეხეთი) — ფაიმე ოსინისი (ბრაზილია) 2:6, 7:6 (7:2), 6:2; მარინი საბაბლიტა (3, არგენტინა) — სირილ სოლინი (საფრანგეთი) 6:7 (6:8), 7:6 (7:5), 7:6 (7:4); ფინანსი მელინი (5, ბრაზილია) — ფრანსისკო კოსტა (ბრაზილია) 6:4, 6:2; რამონ დელგადო (პარაგვაი) — ვლადიმერ ვოლჩკოვი (3, ბელარუსი) 7:5, 7:5; დევიდე სანგვინეტი (2, არგენტინა) — ტიაგო ალვარი (ბრაზილია) 6:3, 6:4; მეორე წრე. სარეტა — მარკუს პანინი (გერმანია) 6:4, 6:4; მარინი — საბალე ტა 3:6, 6:4, 7:6 (8:6); ანდრე პავლიჩი (7, არგენტინა) — იგო პოიტერევი (მედიცინა) 6:3, 7:5; პანინი — მარტინ ლი (ბრიტანეთი) 6:2, 6:2

ბუკარესტი (რუმინეთი) „გელსორ ოუფენი“ თინხარი. საპრიზო 400 ათასი \$

ქართველმა ირაკლი ლაბაძემ პირველ წრეში 3:6, 4:6 წაავო ესპანელ ხაკობო ღარსთან.

პირველი წრე. ანდრე პავლიჩი (1, რუმინეთი) — ირეი ვანეცი (ჩეხეთი) 6:0, 6:3; იან მარინი — ილ აინაზი (7, მაროკო) — დიუ პესკარე (რუმინეთი) 6:1, 6:2; ადრინა მინი (რუმინეთი) — ალბერტო მარტინი (3, ესპანეთი) 3:6, 6:4, 6:4; მარატს (ესპანეთი) — გალო ბლანკო (5, ესპანეთი) 6:2, 6:2; მარინი მარტინი (6, საფრანგეთი) — ენდრიუ ილი (ავსტრალია) 6:2, 6:2; მარატს — ირაკლი ლაბაძე (საქართველო) 6:3, 6:4; მარინი — ანდრეას კონსიგერა (4, შვედეთი) 6:1, 6:2; ხაკობო ღარსი (3, ესპანეთი) — მარკ კუენ გელანერი (გერმანია) 7:5, 7:6 (7:4); ალბერტ მარტინი (2, ესპანეთი) — სოლონ შიბასი (საბურხეთი) 6:1, 6:2; მეორე წრე. მარატს — დიასი 6:4, 2:6, 7:6 (7:4); მარატს — გაბრიელ ტრიფუ (რუმინეთი) 7:6 (7:4), 6:4

ირაკლი ფირაფხილი

ქალაქი ჯიგარი დაპარება

ნაილორის მეორე რაიონის მე-8 ტურში პრინციპული პარტია შედგა, იულიო პოლგარმა და სიუ უენმა ითამაშეს. პირველი მსოფლიო ვაჭებში ასპარეზობს, მეორე ქალთა მსოფლიოს ჩემპიონია, რეიტინგით კი პოლგარი სჯობნის. მოკლე, ბუნდოს აირესში ქალთა ჭადრაკის ფაქტობრივი და თეორიული დელოფლები შეხვდნენ.


ამ ინტრიგულ ფონზე პარტიის საჩქარო დასასრული ურიგოდ მოჩანს. თერთებით ჩინელი იყო, მაგრამ დიდად ყური არ შეუბერტყავს, არც პოლგარმა ინდომა ვითარების გამწვავება და მხარეები 17 სვლაში ზავით და გავერაც ფიგურებით იყო სავე.

სატურნირო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი კარპოვ — რაჯაბოვის ბრძოლაც ყაიმით დამთავრდა. ისინი ლიდერები იყვნენ თერთებით მითამაშე აზერბაიჯანელმა ყმაწვილმა სოლიდურად ჩაატარა მიტელმბალი და კარპოვმა გაჭირვებით მოახერხა პარტიის ენდშილში გადაყვანა, სადაც რაჯაბოვი იტულებული გახდა, განმხოლოებული პარტიისთვის მიუხედავ, რასაც თავი გაართვა და ნახევარი ქულა მიიღო. ლიდერთა დუეტი ტრიოდ იქცა იმის გამო, რომ მე-8 ტურში ერთხელაც გამარჯვდა კორნოი, რომელმაც შავებით მასპინძელ პაბლო რიკარდის მოუვო. ფრანგულ დაცვაში 21-ე სვლი-

სთვის ორმხრივი შესაძლებლობებით სავეს პოზიცია შეიქმნა (ინილეთ დაფა). მერე კორნოიმ აწარმოა გარდვევა და მეფის ფრთა ხელში ჩაიგდო. ენდშილში კორნოის ზედმეტი პაიკი პქონდა და რიკარდისანი ცუდად იდგნენ, ამიტომ მე-40 სვლის მისაღობთან აშკარა გახდა, რომ არგენტინელის საქმე წასული იყო. ტექნიკა კორნოის კარგი აქვს, მან ქულა 53-ე სვლაზე გამოიმუშავა.

დავით გულუა

ვითარება 8 ტურის შემდეგ
1-3. კარპოვი, კორნოი, რაჯაბოვი 5,5; 4. შორტი 4,5; 5-6. პოლგარი, სიუ უენი 4; 7-8. ფალგაერი, რიკარდი 3,5; 9. მეკინგი 3; 10. მილოში 1



ქართული ჭადრაკის მემბრანა

სახელმწიფო პრემიაზე ნარაღობენს

ბუშინ ჭადრაკის სასახლეში ამაღარი საჭადრაკო მოღვაწის, საერთაშორისო არბიტრის და უურნალისტის, თენგიზ გიორგაძის ახალი წიგნის — „ქართული ჭადრაკის მატჩიანეს“ პრეზენტაცია მოეწყო. ამ სამტომიან წიგნში აღწერილია ქართული ჭადრაკის ისტორია — ტურნირები, მატჩები და პიროვნებები, რომელთაც ჩვენს ქვეყანაში ამ სპორტის განვითარების საქმეში წვლილი შეუტანიათ.

თენგიზ გიორგაძეს ამ ნაშრომის შექმნის იდეა რამდენიმე წლის წინ გაუჩნდა, როცა ერთმა რუსმა უურნალისტმა მას ინგლისური წიგნი აჩუქა, რომელიც მკითხველს წინა აფორინდაშვილისა და სხვა ქართველ მოჭადრაკეთა მოღვაწეობაზე მოუთხრობდა. „ჩვენს მდიდარ წარსულზე წიგნის დაწერა აუცილებელია“ — გაიფიქრა მამინ ბატონმა თენგიზმა და ამ უნიკალური ნაშრომის შექმნას შეუდგა.

პირველი ტომი ქართული ჭადრაკის ისტორიას და განვითარებას მოიცავს, მეორე სხვადასხვა საჭადრაკო პარტიებსა და დიდოსტატთა მოღვაწეობას, ხოლო მესამეში ქართული უურნალისტიკის ისტორიაა გაშუქებული.

წიგნის პრეზენტაციაზე ბევრი პიროვნება გამოვიდა სიატყვით. ბატონ თენგიზს ნაშრომი ყველამ შეუქო და მას სახელმწიფო პრემიაზე წარდგენა მოულოცა. პრეზენტაციის ბოლოს ბატონმა თენგიზმა ყველა იქ მყოფთ მადლობა გადაუხადა და კიდევ მრავალ ასეთ სა-



თენგიზ გიორგაძე

ჩუქარს დაპირდა. შემდეგ ქალბატონმა ნონამ ყველა თავის კაბინეტში მიიწვია, სადაც ეროვნული ჭადრაკის სადღეგრძელო შეისვა. გარდა ამ სამტომეულისა, ბატონ თენგიზს ნაშრომი ყველამ შეუქო და მას სახელმწიფო პრემიაზე წარდგენა მოულოცა.

ფირმების რეგისტრაცია
ოფორმული კომპანიები
რუსეთის ვიზები
მისამართი:
„პირიშვი“ ბიორა სართული
ბალეფონი: 93-52-34, 877 42-20-59

იყიდება
ერთობიანანი ჩუხური პროექტის ბინა
ვახისუბის IV მკ/რ. II კვ. მე-5 სართული
ბალე: 75 99 49

ესპანეთის გზა ახალ თაობას

გუზინდელ „სარბიელში“ ვწევრდით, რომ კოლუმბიელი სანტიგო ბოტერო მეზუთე ეტაპზე მთიელებთან თავისი მცირე უპირატესობის შენარჩუნებაზე იზრუნებდა. ასეც მოხდა „კუელტას“ პირველ მთიან ეტაპზე. მაგრამ ბოტეროს ოქროსფერი მაისურის შესანარჩუნებლად ძალიან არ ეყო. თუმცა ლიდერობა „კელმემ“ მაინც არ დათმო და საერთო ჩათვლის სათავეში ოსკარ სევილია მოექცა.

სევილია ახალგაზრდა, ძალიან იმედისმომცემი მძღოლია, რომელიც წლებიდან „ტურ დე ფრანსზე“ გამოჩნდა და ყურადღებას მიიქცია. მან საფრანგეთში საუკეთესო ახალგაზრდისთვის განკუთვნილი თეთრი მაისურა მოიგო და ბევრმა სპეციალისტმა მას დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ სევილიამ უკვე გაამართლოს პროგნოზები. ოთხშაბათი ახალი თაობის კიდევ ერთი წარმომადგენლისთვის გახდა წარმატებული. მთებში რბოლა ხუან მიგელ მერკადომ მოიგო, რომლისთვისაც ეს პირველი გამარჯვებაა დიდ ტურნირებზე.

ყოველთვის, როცა „კუელტას“ პელოტონი ასტურის მთებს გადის, ბევრი საინტერესო რამ ხდება. და არა აქვს მნიშვნელობა მძღოლები უძნელეს ანგლირუს მთაზე ავიან, თუ კოვალონგას ტბებისკენ, როგორც ოთხშაბათს, დაძაბულობა ყოველთვისაა.

დაახლოებით 140 კილომეტრის განმავლობაში ფავორიტები ერთმანეთის მეთვალყურეობით კმაყოფილდებოდნენ და იერიში არავის დაუპირებია. ამასობაში სამი კაცი — პოსპიევი, სმეტანინი, პოსტი — გადავიდა შეტევებზე და ოთხ წუთამდე უპირატესობაც მიიღო, მაგრამ, რა თქმა უნდა, მათ ბოლომდე ვერ გაძლეს: ნამდვილი ბრძოლა დღის ბოლოსწინა დაბრკოლება — ფიტოს მთაზე გაჩაღდა.

ინიციატივა „კელმემ“ (ბოტერო, სევილია) და „ბანესტომ“ (დომინგესი, ოსა, მერკადო) გაშიშინეს. მოწინავეებს მალე ჩამორჩნენ აბრაამ ოლანო, მარკო პანტანი, ჯილბერტო სიმონი და რიშარ ვირანკი, თუმცა მათ დაღმართზე შეძლეს მეტოქეთა დაწვევა.

სანამ წინა ოთხიდან სამი ეტაპის მომგები ერიკ აბელი წაქცევისას მიღებულ უმნიშვნელო ტრავმას მიხედვდა, პელოტონის სათავეში ახალი

ძალით გაგრძელდა ბრძოლა. უკანასკნელ დაბრკოლებაზე ისეც „კელმემ“ და „ბანესტომ“ გამოიჩინნენ. პირველი შეტევაზე ბანესტოელმა ხოსე-მარია ხიმენსმა განახორციელა ვეტერანის მივლია მხოლოდ კარლოს სასტრამა შეძლო, მაგრამ მათ საერთო ენა ვერ გამოიხატეს და ამიტომ პოზიციები მალევე დათმეს.


ფინიშამდე შევიდოდე კილომეტრულა რბოლა, როცა ხიმენსის თანაგუნდელი მერკადო დაუსხლტა მთავარ ჯგუფს და მწვერვალისკენ მარტო გაფრინდა. წლებიანდელი „ბურგოსის ტურის“ ჩემპიონის მივლია ბოტერომ ვერ შეძლო, რადგან უკვე მანამდე დიდი გაჭირვებით უძლებდა ტემპს. შესაბამისად მათ შორის სხვაობამ სწრაფად იწყო ზრდა და ოქროსფერი მაისურა „კელმემ“ მულობელობიდან „ბანესტოსში“ უნდა გადასულიყო. თუმცა ამის თავიდან ასაცილებლად ოსკარ სევილია გადავიდა კონტრიერიში და მართალია, მერკადოს ვეღარ დაეწია, მაგრამ სამაგიეროდ მას საერთო ჩათვლაში მიახლოების საშუალება მოუხპა.

დანარჩენებთან ოდენ „ტურის“ მესამეადგილოსანმა ხოსემა ბელოკიმ შეძლო მეტ-ნაკლებად სხვაობის ლიმიტირება, თორემ სხვა ფავორიტებმა უფრო ბევრი დრო წააგეს.

ზაბი გურული



პიშამ ელ გურუჯი და სტეის დრაგილა პირველ ნომრებად დარჩნენ



დრო ისვლება, ღიღიარები რჩება

პირითადი შეჯიბრების დასრულებისთანავე მძღოლისთვის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაციამ (აი-აე) ახალი რეიტინგები გამოაქვეყნა, რომელთა პირველ პოზიციებზე არაფერი შეცვლილა. მაროკოელი სტაიერი პიშამ ელ გურუჯი და ამერიკელი მეტოქე სტეის დრაგილა თავიანთი სიის სათავეში დარჩნენ, თუმცა ედმონტონის მსოფლიოს ჩემპიონატი, „ოქროს ლიგის“ ეტაპები, „გრან პრის“ ფინალი და „კეთილი ნების თამაშები“ სარეიტინგო ძვირების გარეშე ვერ ჩაივლიდა და აი, ისინიც.

კუბელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, მითარჯობენ ახირ გარსამ „გრან პრის“ ფინალში გამარჯვებით საერთო სიის მე-9-დან მე-5 ადგილზე გადაინაცვლა, თუმცა მაინც ვერ გაუსწრო კოლეგა ალენ ჯონსონს, რომელიც წლეულს გარსიას გვარაიანად სჯობნის და ეს კდმონტონშიც დადასტურდა. მოწინავე ოცეულში ვეღლაზე მეტი პროგრესი იან უელსონი განიცადა, რომელმაც განიძვარა შუბის ტვირტის განყოფილებაში პირველობა და საერთო სიაში კი 8 ადგილით დაწინაურდა. ჩეხი ახლა მეთორმეტეა, ხოლო ოდნავ ხიღმეებში სპრინტერ შონ კროუფორდს მეტად წაადგა მეღბურის „გრან პრის“ ფინალის მოგება. ამერიკელმა რანგთა ტაბელში მსოფლიოს ჩემპიონ კოსტადინოს კენტრისს გაუსწრო და მთლიანად 19 ადგილი მოიგო: 46-ე იყო, 27-ე გახდა.

ქალთა რეიტინგების მიმდინარე გმირია სამხრეთაფრიკელი ჰესტრა კლეტი. ეს ძალია მსტომელი ედმონტონში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, მიუხედავად „ოქროს ლიგის“ ეტაპები და „გრან პრის“ ფინალი მეღბურში, რაც საკვებით ეყო, რომ მე-15 ადგილიდან მე-9-ზე აეხაცვლებინა, ხოლო მარიონ ჯონსი ერთადერთია, ვინც ორი დისციპლინის პირველ ადგილზე გახლავთ.

გასწრებათაგან შემდგევი უნდა გამოვეყოთ: კოჯი მუროფუშიმ შიმონ ციოლკოვსკი (ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი) ჩამოიტოვა უროს ტვორცნაში და 100 მეტრზე მითარჯობებზე ანჯანეტ კირკლენდი გეილ დივერსზე წინ გავიდა. დივერსი ქალთა 100-მეტრიანი თარჯობის უდავო ლიდერია, მარშანდელი „ოქროს ლიგის“ ლაურეატი, ხოლო კირკლენდმა მას ედმონტონში მსოფლიოს ჩემპიონობა ვასაკვირად წაართვა.


დავით გულუსა

მამხი	მალხი
100 მ: 1. მორის გრინი (აშშ) 1448; 2. ტიმ მონტგომერი (აშშ) 1443; 3. ატო ბოლდონი (ტრინიდადი და ტობაგო) 1388 200 მ: 1. შონ კროუფორდი (აშშ) 1374; 2. კოსტადინოს კენტრისი (საბერძნეთი) 1352; 3. კრისტინა მალკოლმი (დეიდი ბრიტანეთი) 1347 400 მ: 1. გრეგ პოლტონი (იამაიკა) 1325; 2. აფარდ მონკრი (ბაჰამის კუნძულები) 1318; 3. ანტონიო პეტეგრიუ (აშშ) 1271 800 მ: 1. ანდრე ბუზერი (შვეიცარია) 141; 2. იური ბორზაკოვსკი (რუსეთი) 1393; 3. უილფრედ ბუნგეი (გენია) 1360 1500 მ: 1. პიშამ ელ გურუჯი (მაროკო) 1465; 2. ბერნარდ ლაგატეი (გენია) 1417; 3. უილიამ ჩირჩირი (გენია) 1375 3000-5000-10000 მ: 1. რიკარდ ლიბო (გენია) 1397; 2. პოლ ბიტოვი (გენია) 1375; 3. პაილუ მეკონენი (ფინოპია) 1366 110 მ: 1. თარჯობენი: 1. ალენ ჯონსონი (აშშ) 1437; 2. ანდრე გარსია (კუბა) 1425; 3. ტერენს ტრამელი (აშშ) 1362 400 მ: 1. თარჯობენი: 1. ფელიქს სანჩესი (დომინიკელია რესპუბლიკა) 1406; 2. ანჯელო ტელიორი (აშშ) 1370; 3. ფაბრიციო მორი (იტალია) 1356 3000 მ: 1. სტაბლჩივი: 1. რუბენ კოსცი (გენია) 1416; 2. ბრაიმ ბუღამი (მაროკო) 1415; 3. უილსონ ბოიტ კომპეტერი (გენია) 1393 ქოკი: 1. დმიტრი მარკოვი (აგსტალია) 1368; 2. უეფუ პარტივი (აშშ) 1357; 3. ალექსანდერ აფრინი (ისრაელი) 1341 სამაღლეუ სტომი: 1. შტეფან ბოლმი (შვედეთი) 1323; 2. ვაჰსლავ გორონი (რუსეთი) 1317; 3. იაროსლავ რიბაკოვი (რუსეთი) 1293 სიგრძეზე სტომი: 1. ივან პედროსო (კუბა) 1398; 2. სავანტე სპრინგულო (აშშ) 1345; 3. კვენ დილგორი (აშშ) 1314 სამსტომი: 1. ჯონათან ედვარდსი (დეიდი ბრიტანეთი) 1388; 2. კრისტინა ოლსონი (შვედეთი) 1296; 3. პაილო კამოსი (იტალია) 1257 ბორთვის კრა: 1. ჯონ გოდინა (აშშ) 1385; 2. ადამ ნელსონი (აშშ) 1358; 3. მანუელ მარტინესი (ესპანეთი) 1306 ბადრო: 1. ვირგილიუს ალენა (ლიტვა) 1395; 2. ლარს რიდელი (გერმანია) 1344; 3. ფრანც კრიუგერი (სამხრეთ აფრიკა) 1317 ურო: 1. კოჯი მუროფუში (იაპონია) 1373; 2. შიმონ ციოლკოვსკი (პოლონეთი) 1348; 3. ნიკოლა ვიძინი (იტალია) 1297 შუბი: 1. იან ფელენი (ჩეხეთი) 1406; 2. კოსტადინოს გატიუდისი (საბერძნეთი) 1360; 3. აკი პარეიანინი (ფინეთი) 1339 ათქიდი: 1. ტომას აფორიკა (ჩეხეთი) 1412; 2. ერეკ ნოლი (ესტონეთი) 1372; 3. რომან სერბლე (ჩეხეთი) 1331	

პროტინი ჩათვლა
1. პიშამ ელ გურუჯი (მაროკო) 1465; 2. მორის გრინი (აშშ) 1448; 3. ტიმ მონტგომერი (აშშ) 1443

მამხი	მალხი
100 მ: 1. მარიონ ჯონსი (აშშ) 1417; 2. უანა პონტუსევიჩ-ბლოკი (უკრაინა) 1380; 3. ჩანდრა სტარაბი (ბაჰამის კუნძულები) 1371 200 მ: 1. მარიონ ჯონსი (აშშ) 1335; 2. დევი ფერგიუსონი (ბაჰამის კუნძულები) 1334; 3. კელი უაიტი (აშშ) 1332 400 მ: 1. ანა გაბრიელა გეგანა (მექსიკა) 1357; 2. ლორენ გრემ-ფენტონი (იამაიკა) 1320; 3. კეტრინ მერი (დეიდი ბრიტანეთი) 1314 800 მ: 1. მარია მუტოლა (მოზამბიკი) 1412; 2. შტეფანი გრაფი (ავსტრია) 1362; 3. კელი პოლსი (დეიდი ბრიტანეთი) 1325 1500 მ: 1. ვიოლეტა სეკელი (რუმინეთი) 1398; 2. ნატალია გორილოვა (რუსეთი) 1362; 3. კარლა საკრამენტო (პორტუგალია) 1353 3000-5000-10000 მ: 1. ოლგა ეგოროვა (რუსეთი) 1427; 2. გეტე ვაში (ეთიოპია) 1390; 3. პოლა რედკლიფი (დეიდი ბრიტანეთი) 1373 100 მ: 1. თარჯობენი: 1. ანჯანეტ კირკლენდი (აშშ) 1388; 2. გეილ დივერსი (აშშ) 1385; 3. ოლგა შიშინა (ყაზახეთი) 1362 400 მ: 1. თარჯობენი: 1. ნეფა ბიდუანე (მაროკო) 1392; 2. ტატაიანა ტერეშკოვა-ტიბოვა (უკრაინა) 1350; 3. იულია ნოსოვა (რუსეთი) 1342 სამაღლეუ სტომი: 1. შტეფანი სტორბეკ კლეტი (სამხრეთ აფრიკა) 1399; 2. ინგა ბაბაოვა (უკრაინა) 1388; 3. კაისა ბერგვისტი (შვედეთი) 1373 ქოკი: 1. სტეის დრაგილა (აშშ) 1462; 2. სეფელანა ფეიფანოვა (რუსეთი) 1399; 3. მონიკა პირევი (პოლონეთი) 1320 სიგრძეზე სტომი: 1. ტატაიანა კოტოვა (რუსეთი) 1357; 2. ფინა მეი (იტალია) 1345; 3. ნიურკა მონტალეო (ესპანეთი) 1295 სამსტომი: 1. ტატაიანა ლეგედევა (რუსეთი) 1399; 2. ტერეზა მარინოვა (ბულგარეთი) 1368; 3. მადელინ მარტინესი (იტალია) 1299 ბორთვის: 1. ლარისა პელმენკო (რუსეთი) 1304; 2. იანინა კოროლიჩი (ბელარუსი) 1289; 3. ასტრიდ კუმბერუსი (გერმანია) 1266 ბადრო: 1. ნატალია სადოვა (რუსეთი) 1304; 2. ნიკოლეტა გრაზუ (რუმინეთი) 1278; 3. ელენა ზეგრევა (ბელარუსი) 1257 ურო: 1. ოლგა კუზნეცოვა (რუსეთი) 1306; 2. კამილა სკოლიმოვსკა (პოლონეთი) 1288; 3. ბრანუინ იგლზი (ავსტრალია) 1262 შუბი: 1. ოსლეიდის მენენდესი (კუბა) 1399; 2. ნიკოლა ტომეჩოვა (ჩეხეთი) 1269; 3. სონია ზისტი (კუბა) 1261 შიდეტიდი: 1. ელენა პროხოროვა (რუსეთი) 1382; 2. ნატალია საზანოვიჩი (ბელარუსი) 1360; 3. ნატალია როშოუკინა (რუსეთი) 1309	

პროტინი ჩათვლა
1. სტეის დრაგილა (აშშ) 1462; 2. მარიონ ჯონსი (აშშ) 1445; 3. ოლგა ეგოროვა (რუსეთი) 1427



ხოსე მერკადომ დიდი ტურისის ეტაპი პირველად მოიგო



დასაწყისი იხ. „სარბიელი“ №159, №164, №165, №171

ესეც აღზეხი და ოლიმპიური დედაქალაქი



სოკ-ის შტაბ-ბინა ლოზანაში



სოკ-ის ძველი შტაბ-ბინა ლოზანაში



სოკ-ის ერთ-ერთი დიასახლისი მარი ელენ რუხაძე და საქართველოს ელჩი შვეიცარიაში ამირან კვაციანი სოკ-ის შტაბ-ბინაში

სოკ-ის მდივანი დროდადრო გვახსენებენ, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ქოლგა გაეროზე მეტ ქვეყანას აერთიანებს, მაგრამ ლოზანური ორგანიზაცია მხოლოდ თავისი სამწყვსოს რაოდენობით როდი იწონებს თავს. არ ამბობენ, მაგრამ ალბათ ფიქრობენ, ოკეანის ვალმა დაბინავებული გაეროცა და ლოზანის ყურის ძირში მდებარე შენევიც ჩვენთან შედარებით პოლიტიკოსთა სალაგო და წყლის სანაყავი ადგილები უფროა, სოკ-ი კი — საქმის მკეთებელი ორგანიზაციაა.

მართლაც სოკ-ი თავისი ხუთი რგოლის წყალობით მეტ ქვეყანასა და ხალხებს აახლოებს, ვიდრე პოლიტიკოსთა შენევი-ნიუიორკული ვილაჟები. ტყვილად კი არ ამბობენ, სპორტი მშვიდობის ელჩია. აკი ანტიკური ოლიმპიური თამაშებისას მემორი მხარეები ბრძოლებს წყვეტდნენ, საყოველთაო მშვიდობას ასადგურებდნენ და ერთმანეთს სპორტულ სარბიელზე ერკინებოდნენ. იმ შორეულ ხანაში რომ არ წავიდეთ, გავიხსენოთ სულ ბოლო, სიღნეის ოლიმპიური თამაშების მაგალითი, რომელმაც ორად გახლეჩილი, მტრად მოკიდებული კორეა ერთი დროშის ქვეშ გააერთიანა, რაც ალბათ დიდი გზისა და საქმის დასაწყისია.

ლოზანას მუდმივი კავშირი აქვს ორივე კორეასთან და საერთოდ მსოფლიოსთან. და როგორც იტყვიან, მის ერთ დასტვენაზე ყველა სტარტზე დგება. თანამედროვე ოლიმპიური თამაშების მებაღეავე ფრანგმა ბარონმა პიერ დე კუბერტენმა მსოფლიოს ოლიმპიური პულტი პარიზიდან შვეიცარიის ამ ქალაქში 1915 წელს გადმოიტანა.

ცხადია, ფრანგ ბარონს ეს ნაბიჯი მხოლოდ შვეიცარიის წარმტაცმა ბუნებამ არ გადაადგმევინა.

„მე თუ მკითხავთ, შვეიცარია ერთ-ერთი ყველაზე კარგი ქვეყანაა. სკოლებსაც კერსად ნახავთ მაგისტრანს. უბედურეს რესპუბლიკადაც ითვლება მსოფლიოში, 1292 წლიდან. როგორც აქაური ოთხი ივლისი, ისე მანდ პირველი აგვისტოა დამოუკიდებლობის დღე. არ დღესასწაულებს, მაგრამ, რომ გაიხედავთ, ყველა მთის მწვერვალზე ცეცხლს დაინახავთ ამ დღეს. საერთოდ, ყველაზე ნაკლები ცვლილება შვეიცარიამ განიცადა, ყველაზე აყვავებული ქვეყანაცაა.“

ეს ციტატა ჩარლი ჩაპლინისადმი მიწერილი მისი ყოფილი მსახურის, ამერიკაში გადასახლებული ჰენრის წერილიდანაა.

ბატონი ჰენრი თავისი სამშობლოს დახასიათებისას არც ერთ პუნქტში არ ცდებოდა. კუბერტენიც იმავე აზრისა იყო. და რაღა გასაკვირია, რომ მან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დედა შვეიცარიაში ჩაუშვა.

ეს მოხდა 1956 წლის 10 აპრილს ლოზანაში, მერიის საბანკეტო დარბაზში, სადაც პიერ დე კუბერტენმა და ქალაქის მერმა მკილ რეფერმა მოაწერა ხელი ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც სოკ-ის ადგილობრივი განხა ლოზანა,

უნევის ტბის სანაპირო. მაგრამ კუბერტენმა საამისოდ რატომ ამაღობინა ლოზანა?

ეს კითხვა მით უფრო საინტერესოა, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სამსახურს, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, ევროპაში ოცამდე ქალაქი სთავაზობდა.

მაგრამ, ეტყობა, ობიექტურ ფაქტორებთან ერთად გარკვეული როლი შეასრულა თავად კუბერტენის სუბიექტურმა მოსაზრებებმაც, მისმა სიმპათიებმა შვეიცარიისადმი და ლოზანასადმი.

ლოზანას კუბერტენი პირველად 1908 წელს ეწვია, რათა დარწმუნებულიყო, შესძლებდა თუ ვერა ეს ქალაქი სპორტული ფიზიოლოგიისა და ფსიქოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილი ოლიმპიური კონგრესის ჩატარებას. ეს ფრად გახმაურებული კონგრესი 1913 წელს მართლაც შესანიშნავად ჩატარდა ლოზანაში. ეს იმ დროისთვის ძალზე დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო მსოფლიოს სპორტულ მოძრაობაში.

მაგრამ საერთაშორისო ოლიმპიური

კომიტეტის პარიზიდან ლოზანაში გადასახლებას ხელი სხვა ფაქტორებმაც შეუწყო. იმ წლებში საფრანგეთის მთავრობა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისადმი გულგრილად იყო განწყობილი და კუბერტენის მოღვაწეობასაც სათანადოდ ვერ აცნობიერებდა. ამასთან, ევროპაში პირველი მსოფლიო ომიც გაჩაღდა, ნეიტრალურ შვეიცარიაში კი ტრადიციული სიმშვიდე სუფევდა.

სოკ-ის ლოზანაში გადასახლებას დიდ შეუწყო ხელი იმანაც, რომ შვეიცარიაში ცხოვრობდა კუბერტენის მეგობარი, ბარონი გოდფრუა დე ბლონიე. შვეიცარიელი ბარონი ფრად განათლებული, მდიდარი და გავლენიანი პიროვნება გახლდათ. იგი იყო ცნობილი ევკვატოლოგი და დიდი მამულების პატრონი. 1898 წელს გოდფრუა დე ბლონიემ, სოკ-ის წევრად არჩევის მერე თავისი ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ჩამოაყალიბა. როდესაც ევროპაში დენთის სუნი სახფათოდ დატრიალდა, შვეიცარიელმა ბარონმა ფრანგ ბარონს „მონბესონის“ კაზინოს

სიფეფში სოკ-ის არქივის შენახვა შესთავაზა. დე ბლონიემ კუბერტენს აღუთქვა ყოველგვარი დახმარება, მათ შორის მორალურიც და ფინანსურიც, თუ იგი გადაწყვეტდა სოკ-ის შტაბ-ბინის პარიზიდან ლოზანაში გადატანას.

კუბერტენმა გადაწყვიტა და დე ბლონიემ სიტყვის კაცი გამოდგა. მისივე დახმარებით და კუბერტენის ინიციატივით 1918 წელს იქვე ჩამოყალიბდა ოლიმპიური ინსტიტუტი და სპორტული პედაგოგიის საერთაშორისო ბიურო. დე ბლონიემ კუბერტენს მაშინაც დიდი თანადგომა აღმოუჩინა, როცა ფრანგი ბარონი პირველ მსოფლიო ომში მოხალისედ წავიდა, შვეიცარიელმა ბარონმა კი იმ წლებში (1916-1919) საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის მოვალეობა იკისრა.

ამასობაში კუბერტენმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პროექტებს ლამის მთელი თავისი ქონება გადააყოლა. ამიტომ პარიზული ბინა გაყიდა და ლოზანაში დასახლდა. მან ბინა დაიდო მონ რეპოში, რომელიც 1922 წელს

ლოზანის მუნიციპალიტეტმა სერტაში-როსო ოლიმპიურ კომიტეტს გადასცა. „მონ რეპო“ ჩემს დასვენებას ნიშნავს. გიფვარდეთ, დასასვენებლად მართლაც მშვენიერი ადგილია. მწვანეში ჩაფლული ვილა მშვიდი უნევის ტბის სანაპიროზეა. ტბის გაღმა მოსწანს საფრანგეთის პატარა ქალაქი ვეიანი, რომლის ცქერაც კუბერტენს ალბათ სამშობლოსადმი ნოსტალგიას უქარვებდა. ვეიანის ფონზე კი ვხედავთ ასევე საფრანგეთის მარადიოვლიან ალბებს...

მაგრამ ამ იდილიურ მუდროებაში ჩაფლული „ჩემს დასვენებაში“ კუბერტენს დასასვენებლად სად ეცალა...

30 წლის მერე, 1967-68 წლებში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით გადავიდა ასევე ძველებურ ციხე-სიმაგრე შატო დე ვილში. ამასობაში შეიცვალნენ სოკ-ის მეთაურებიც, 1980 წელს კი ამ ორგანიზაციის სათავეში ჩაულგა მუშვიდ პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი. ამ ესანელმა მარკიზმაც, ფრანგი ბარონის მსგავსად, იქვე დაილო ბინა. მისი პრეზიდენტობის ხანაში ოლიმპიურმა მოძრაობამ გრანდიოზულ მასშტაბებს მიადწია. გაფართოვდა სოკ-ის უფლებები, მისი ინტერესების სფერო და თავად სოკ-ის შტაბ-ბინაც შატო დე ვილის გვერდით ააშენეს თანამედროვე, ორიგინალური მშენიერი ნაგებობა. მისმა ავტორებმა, მექსიკელმა პედრო რამირეს ვასკესმა და ლოზანელმა არქიტექტორმა ფან პიერ კონემა ახალი შტაბ-ბინა ძველს მწვანეში ჩასმული, ორანფერის მსგავსი შემინული გვირაბით დაუკავშირეს. იგი სახეობდ გაიხსნა 1986 წლის 12 ოქტომბერს. მანამდე, სამარანჩის გაარეზიდენტებდნენ ერთი წლის მერე, 1981 წლის 8 ივლისს შვეიცარიის ფედერალურმა საბჭომ სოკ-ი ოფიციალურ პირად ცნო ქვეყნის ტერიტორიაზე. ორი თვის მერე ოფიციალურად მიანიჭა მას განსაკუთრებული, არასამთავრობო ორგანიზაციის ნახევრადიპლომატიური სტატუსი, რაც სოკ-ს ბევრ შეღავათს აძლევს. მისი ძალით სოკ-ი თავისუფალია სახელმწიფო ბეგარისგან. ამასთან, სოკ-ის უფლება აქვს თავის შტაბში დასასაქმოს განუსაზღვრელი რაოდენობის უცხოელი, რაც მანამდე შვეიცარიელებთან შედარებით შეზღუდულად შეეძლო.


სოკ-ს თუ მანამდე, 70 წლის განმავლობაში ქალაქის მუნიციპალიტეტი ფაქტობრივად მფარველობდა, განსაკუთრებული სტატუსის მიღების მერე სოკ-ი და მუნიციპალიტეტი პარტნიორები გახდნენ. ამის შედეგად, სამარანჩის უდიდესი ძალისხმევით, მათ ერთობლივად შეიძინეს სოკ-თან, ომის პრესტიჟულ რაიონში მდებარე 33 ათასი კვადრატული მეტრის ფართობი, სადაც სამარანჩის დიდი მცდელობით 1993 წელს აიგო ბრწყინვალე ოლიმპიური მუხეუმი და გაშენდა ოლიმპიური პარკი.

1994 წელს ლოზანა ოლიმპიურ დედაქალაქად გამოცხადდა.

ამთანადილ გურასაზმილი
ლოზანა-თბილისი
ავტორის ფოტოები
დასასრული იქნება



სოკ-ის ტერიტორიაზე და თავად მის შტაბ-ბინაში მრავალი ჭანდაყვბაა. პირველ ფოტოზე აღბეჭდილი ჭანდაყვბა გვახსენებს, რომ სპორტი მშვიდობის ელჩია, მეორე კი თითქოს მიგვანიშნებს, ეს ორგანიზაცია კარგი საქმეებისთვის მუდამ სტარტზეაო



კრიზისი

ღონე პინგა ფელიქს ტრინიდადისა და ბერნარდ პოპინსის ბრძოლა გადადო. მიზეზი გასაგებია: ნიუ იორკში II სექტემბერს მომხდარი ტერორისტული აქტი. არადა, ამ რეკლამირებულ ბრძოლას, რომელიც სწორედ ნიუ იორკის „მედისონ სკვერ გარდენში“ შაბათს ანუ ხვალ უნდა გამართულიყო, კრივის სამყარო დიდხანს ელოდა.

ტერორისტული აქტის დროს თავად კინგი კლივლენდში აერობორტისკენ მიემართებოდა ნიუ იორკში გამოსაფრენად. მან თქვა, რომ „მედისონ სკვერ გარდენში“ დირექტორატს და ტელევი-

კანია HBO-ს ხელმძღვანელებს ვერ დაუკავშირდა, რის გამოც ბრძოლის ახალ თარიღს ვერ ასახელებს.

„ახლა გლოვის უამი გვიდვას და კრივის დრო არ არის. დღეს ვგელოვან ვიქორწი ბუმს უნდა ამოვუღებო გვერდში. „მედისონ სკვერ გარდენი“ ტერორისტული აქტის მსხვერპლთა დახმარების ცენტრდაა ქვეული. ჩვენ საკუთარ პრობლემებზე არ ვფიქრობთ. მე ვცხოვრობდი ნიუ იორკში, მე მიყვარს ნიუ იორკი, მე თავს ნიუ იორკის ნაწილად აღვიქვამ“ — განაცხადა ცნობილმა პრომოუტერმა.

გამომდინელი სამხრეთაფრიკელი მწვრთნელი, ნიკ ლურანტი ემანუელ სტიუარტს მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონის, მძიმეწონის, ლენოქს ლუისის მომზადებაში დაეხმარება. საქმე ეხება ლუისისა და დღევანდელი უდავო ჩემპიონის, ჰასიმ რაჰმანის რემატქსს, რომელიც 17 ნოემბერს, ლას ვეგასის სასტუმრო „მენდელი ბეიში“ გაიმართება.

ლიურანტი ლუისმა მიიწვია, რითაც უკიდურესად კმაყოფილი დასტოვა: „გამაყობ, რომ ლუისის ყალიბის მოკრივის ბანაკში აღმოჩნდა. ლენოქსის ისე მოწონა რაჰმანთან ჩემი შუამობა სწორედ მასთან პირველი ბრძოლის წინ, რომ მომებნა და რემატქსმდე ოთხკვირიანი კონსულტაციები მოხვდა. მათი პირველი ბრძოლის შემყურემ რაჰმანის მთელი რიგი სისუსტეები შევნიშნე და ახლა მათზე ლუისს ვაგვამაზებლებინებ ვურადლებას“.

WBA-სა და WBC-ს ქვე-ველტერის წონის ჩემპიონი, კოსტა ძიუ, რომელიც აქამდე ზად ჯულსთან ბრძოლისთვის ემზადება, ამბობს, რომ ერთმანეთს გრამებით მიწყობილ წონებში საუკეთესოდ ფელიქს ტრინიდადი მაჩანია.

„მეწამს, რომ ის კიდევ დაამტკიცებს ჩემს სიტყვებს და ეს ამკარად წლებულს მოხდება. როგორ ახერხებს ამას? ეს მოკვლევანათა მთელი კომპლექსის შედეგია. შარშან მან ბევრი ჩემპიონი დაამარცხა. გარდა ამისა, იგი მორიგი მეტოქის არჩევას არასდროს იჩენს სიფრთხილეს. ვინ იქნება შემდეგი ტრინიდადისთვის სულერთია. იგი საკუთარ თავს უყურებს ამოცანებს, საკუთარ თავს უმტკიცებს თავის სიძლიერეს. მიზანს ისახავს და მისკენ უმიზრად მიიწევს. ხოლო, რატომ იცვლის წონებს? იმი-

ტომ, რომ გასუქების პრობლემა აქვს. რაც შეეხება მე, ჩემთვის სხვა წონაში გადასვლა, დღეს, სისულელეა. სადაც ვარ თავს ჩინებულად ვგრძობ, თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ უფრო მძიმე მოკრივეებისთვის ხელთათმანის გადაცემა, დიდებული გრძნობა“.

შემდეგ, ძიუმ განაცხადა, რომ მიწყობილ წონებში თავს დაახლოებით მეათე ნომრად აღიქვამს:

„დღეს ერთ წონაზე ვჭრებდი, რადგან ჩემი ამოცანა ზაბის დამარცხება თუ ეს მოხდა და იმდენი მაქვს, რომ მოხდება, ვფიქრობ ჩემი რეიტინგი ერთიორად მოიმატებს. ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ამ წონის მიწყობილ წონებში ვერაფერ მჯობია. ალბათ, ათეულში ვტრიალებ, თუმცა ჯულსთან ბრძოლა მესამედ ან მეოთხედ გახდომის პერსპექტივას მისწინა“.


მვრჩის საკრივო საბჭომ მისი ტიტულის მფლობელის, ვიტალი კლიჩკოს ნომერ პირველ მეტოქედ დანიელი ბრაიან ნილსენი აღარ დაასახელა. ასეთი გადაწყვეტილება საბჭომ მას მერე მიიღო, რაც ნილსენი 13 ოქტომბერს მაცი ტაინონთან ბრძოლას დაყაბულდა. ეს ბრძოლა კოპენჰაგენში დაინშნული.

თუმცა, EBU-ს დანიის ფედერაციისგან და ნილსენის პრომოუტერისგან, ტიმ პალესგან ერთი წერილიც არ მიუღია მის დანიშნულ შეჯიბრებაში მონაწილეობასთან დაკავშირებით. არადა განაცხადების მიღებაზე, ბუნებრივია, ბოლო ვადა იყო გამოცხადებული.

ბუბა სინარულიძე

უსაფრთხოება უმთავრესი პრიორიტეტია

სოლტ ლეიკ სიტიდან ოლიმპიადას არაჰინ დაბრავს



ჯე როგო

ნიუ იორკსა და ვაშინგტონში მომხდარი ტერაქტების შემდეგ ამერიკელი საორგანიზაციო კომიტეტის სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მშვიდობიანად ჩატარების პერსპექტივას.

„უდავოა, რომ ოლიმპიადა ვგელოვებ კარგი სამიზნეა მსოფლიოს ყურადღების მისაპყრობად. მართალია, ოლიმპიადის ვგელო მონაწილე ცდილობს, საკუთარი ქვეყნის უკეთ წარმოაჩინოს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ცოტა დამთრგუნველია იმის გააზრება, რომ შეიძლება, სამიზნე აღმოჩნდეს — შიში შეკარგვია მოთხილამურე ჯონა მენდესს, თუმცა არც იმდენს კარგავს — ახლა ძალიან რთულია წინასწარ იმის განსაზღვრა, თუ რა შეიძლება მოხდეს აქ, მაგრამ ის მამშვიდებს, რომ თეთრი ოლიმპიადის ორგანიზატორებს მისი მშვიდობიანად ჩატარების აბსოლუტური გარანტია რომ არ ჰქონდეთ, ხელს არ მოკიდებდნენ ამ საქმეს“.

ორგანიზატორების იმედი აქვს მოცავე ლინკოლ დევიტსაც და წინასწარი მონაწილე ჩატარებულ ღონისძიებებს იმედილიც: „კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ არსად არ ვართ დაცულნი. არასდროს არ იცო, მომავალში რა შეიძლება მოხდეს. თუმცა ჩემმა მეზობელმა, რომელიც უსაფრთხოების სამსახურში მუშაობს, დამარწმუნა, რომ

ოლიმპიადის მშვიდობიანად ჩატარებულად ვგელო ლონეს იხმარენ“.

აშშ-ში მომხდარი ტერაქტების გამო სოლტ ლეიკ სიტის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელმა მიტ რომნიმ ოლიმპიადის მშვიდობიანად ჩატარებისთვის დამატებითი სახსრების გამოყოფის საკითხი დასვა. მისი განცხადებით, ეს იმისთვისაა საჭირო, რომ ოლიმპიადაზე უსაფრთხოების ნორმები გაორკვედეს. საორგანიზაციო კომიტეტში მაჩანია, რომ უსაფრთხოების დასაცავად საჭიროა 3500-ზე მეტი პოლიციელის მიზიდვა. გარდა ამისა, მათ დახმარებას გაუწევს ფედერალური საგამოძიებო ბიუროსა და აშშ-ის სხვა საიდუმლო სამსახურების დაახლოებით სამი ათასი აგენტია. ამასთანავე, სრულ მზადყოფნაში იქნება ათასამდე სახანძრო და სასწრაფო სამედიცინო სამსახურის წარმომადგენელიც. არადა, სამშაბათის საზარელი მოვლენების შემდეგ სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადის გადადებაზეც ალაპარაკდნენ, თუმცა ნიუ იორკსა და ვაშინგტონში მომხდარი აფეთქებებიდან რამდენიმე საათში მიტ რომნიმ განაცხადა, რომ ოლიმპიადისთვის დათქმული დროც და ადგილიც უცვლელი დარჩება. ამის შესახებ ტერაქტის მეორე დღეს ისაუბრა სოკ-ის პრეზიდენტმა ჯეკ როგომა, თუმცა ბრძანა, ტერორისტთა თავდასხმების თავიდან ასაცილებლად უსაფრთხოების ნორმების ხელახლა გადახედვა საჭიროა.

„ჩვენთვის უსაფრთხოება უმთავრესი პრიორიტეტია. მართალია, ეს დრამატული მოვლენები ჩვენს უსაფრთხოების ნორმებზე არ იქონიებს გავლენას, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო მაინც ვგელოვართ თავიდან გადახედვათ. ოლიმპიადა კი ჩატარდება იქ, სადაც უნდა ჩატარებულიყო“ — განაცხადა როგომა და იქვე გაემტკნო, რომ მომავალ კვირას ლონხანში, სოკ-ის მმართველი აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე, სწორედ უსაფრთხოების საკითხებზე იმსჯელებენ.

სხვათა შორის, საბჭოს სხდომაზე სატელევიზიო ხიდის მუშაობით ამერიკიდან მოხსენებით ჩაერთვება სოლტ ლეიკ სიტის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი მიტ რომნიც.

„მომავალ კვირას ჩვენ შევფასებთ

და გამოვიკვლიებთ ყველაფერს. ეგებ ყველაფერი ძველებურად დარჩეს, შეიძლება, რაღაც-რაღაცების შეცვლაც დაგვიკრძღეს. ყოველ შემთხვევაში, ჯერ ჩვენს ამერიკელ მეგობრებს მოვუხმებთ“ — ლონხანდან, სოკ-ის შტაბბინიდან, ტელეფონით „ასოშეიტელ პრესთან“ საუბრისას განაცხადა როგომა, თუმცა უარი თქვა, დაეკონკრეტებინა, უსაფრთხოების რა ნორმებზეა საუბარი:

„ახლა საყოველთაო გლოვაა და ჩვენ დადუპლებს პატივი უნდა მივაგოთ. ახლა კონკრეტულ ნაბიჯებზე საუბრის დრო არ არის“.

„ასოშეიტელ პრესთან“ საუბრისას ჯეკ როგომა მიუხედავად ოლიმპიადის ხელახლა ტერორისტების თავდასხმაც გაიხსენა და განაცხადა, რომ 1972 წლის, იმ ტრაგედიის შემდეგ, როდესაც ტერორისტებმა II ისრაელი სპორტსმენის სიცოცხლე იმსხვერპლეს, უსაფრთხოება სოკ-ისთვის უმთავრეს საკითხს წარმოადგენს.

„ჩვენ ყოველთვის ვთანამშრომლობდით და ვთანამშრომლობთ ოლიმპიადის მასპინძელი ქვეყნის იმ ხელისუფლების წარმომადგენლებთან, რომლებიც უსაფრთხოება უნდა უზრუნველყონ. ჩვენთვის ესაა უმთავრესი. ამიტომაც ფრთხილად ვუდგებით ამ საკითხს“ — თქვა სოკ-ის პრეზიდენტმა. სხვათა შორის, სამშაბათის ტერაქტის გამო ფიქრობენ, რომ 2004 წლის ათენის ოლიმპიური თამაშების მასპინძელს შორის აქამდე შემუშავებული უსაფრთხოების საკითხები ხელახლა წამოიჭრება. მით უმეტეს, რომ ათენში ამ საკითხს არც აქამდე მიიჩნევდნენ მეთრეფარისხონად, რადგან საბერძნეთში არსებული ტერორისტული დაფუძვლება „17 ნოემბრის“ ტერაქტები მათ საკუთარ თავზე არაერთხელ გამოცადეს. 1975 წლიდან მოყოლებული დღემდე მათ 22 ადამიანის, მათ შორის ოთხი ამერიკელი ოფიციალური პირის სიცოცხლე იმსხვერპლეს.

და მაინც, ათენის ოლიმპიადის ორგანიზატორებს მაჩანია, რომ ჯერ ნაადრევია იმის განსაზღვრა, თუ რა როლს ითამაშებს აშშ-ში განხორციელებული თავდასხმები მათ უკვე კარგად შეშუშავებული უსაფრთხოების გეგმაზე.

გიგა გუასაშვილი

ფორმულა რეზინის კი არ არის ინფლაციისა და მოსკოვი გაბურღის

სამართაშორისო საავტომობილო ფედერაციამ FORMULA 1 ფორმულა 1-ის საგაიხოს ჩემპიონატის წინასწარი კალენდარი გამოაქვეყნა. ცხრილში ერთი ცვლილება არ მომხდარა — ყველა ქვეყანა თავისი ეტაპი შეინარჩუნა.

2002 წელსაც 17 დიდი პრიზი გათამაშდება. სეზონი ტრადიციულად მარტის დამდეგს მელბურნის „ალბერტ პარკში“ გაიხსნება და შუა ოქტომბერს იაპონურ „სუპერ-ლაგუნი“ დასრულდება ასევე წლებიდან მსგავსად, მთელ საფორმულა პერსონალს მრბოლიან-მექანიკოსებთანად აგვისტოში სავალდებულო, სამკვირიან შეხვედრებში გაისტუმრებენ.

ეს რაც შეეხება 53-ე ჩემპიონატს, 2003 წლიდან კი მოსალოდნელია ერთიორი ახალი რბოლის გამოჩენა. საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, ფაქტობრივად ფორმულის მე-საკუთრე ბერნი ეკლსტონი კეთილგანწყობით შეხვდა რუსების სურვილს, მოსკოვში ეტაპი ჩაატარონ. მან უკვე მონახულა მოსკოვ-რეკის ნაპირზე ავტოდრომის ასაგებად გამოყოფილი ტერიტორია და დელაქალაქის ხელმძღვანელებსაც შეხვდა. ეკლსტონი თვლის, რომ ამ საკითხში მოსკოვის მერის, იური ლუკოვიჩის მონაწილეობა და მის

მხარდაჭერა ერთსულოვნება აუცილებლად გამოიღებს სასურველ შედეგს. სამეფო რბოლების ბოსი რუსებს საქვეყნოდ დაჰპირდა, რომ თუ მომავალი შემოდგომისთვის ავტოდრომი მზად იქნება, 2003 წლის კალენდარში აუცილებლად ჩართავს სოფლიოს უდიდეს ქვეყნის დიდი პრიზის გათამაშებას.

მართალია, ინგლისელმა სპეციალისტებმა მომავალი ტრასის ადგილზე „ნავატინოში“ ორი თვის წინ ნიადაგი

ათვან გაბურღეს, მერე კი სინჯები ლონდონში წაიღეს და პროექტზეც გამალებით მუშაობენ, მაგრამ საეჭვოა, ეს გრანდიოზული მშენებლობა ასე მოკლე ვადაში მოესწროს. ავტოდრომის აგება სავარაუდოდ ასი მილიონი დოლარი დაჯდება.


ფორმულა 1-ის სამასპინძლო კარს რუსების გარდა სხვებაც უკავებენ — პოლანდია, ჩინეთი, ბაჰრეინი, საემირები... არადა, ეკლსტონის აზრით,

ყველაზე ოპტიმალური ს-ეტაპიანი ჩემპიონატია: „ფორმულა რეზინის არაა, ხოლო რბოლების რაოდენობის გაზრდა უზაროდ და სასიფთაოდაც მიმანია. ამასთან, ჩვენ ყოველმხრივ მივესალმებით სამეფო რბოლების გეოგრაფიის გაფართოებას. შექმნილ ვითარებაში უპირველესი გამოსავალი ისაა, რომ გე-

რმანიასა და იტალიას, რომლებიც თვითონ ტერიტორიაზე ყოველწლიურად ორ-ორ ეტაპს ატარებენ, შესაბამისად ნიურბურგისა და იმოლას რბოლები გაუუქმებოთ. ერთი-ორი სხვა ტრასაც შეგულება. საკითხი საბოლოოდ 2002 წლის შემოდგომაზე გადაწყდება“.

გიგა ახალაძე

2002 წლის კალენდარი		
3 მარტი	ავსტრალია	მელბურნი
17 მარტი	მალაიზია	კულა ლუმპური
31 მარტი	ბრაზილია	სან პაულუ
14 აპრილი	სან მარინო	იმოლა
28 აპრილი	ესპანეთი	ბარსელონა
12 მაისი	ავსტრია	შპილბერგი
26 მაისი	მონაკო	მონტე კარლო
9 ივნისი	კანადა	მონრეალი
23 ივნისი	ევროპა	ნიურბურგი
7 ივლისი	დიდი ბრიტანეთი	სილვერსტონი
21 ივლისი	საფრანგეთი	მანი კური
28 ივლისი	გერმანია	ჰოკენჰაიმი
18 აგვისტო	უნგრეთი	ბუდაპეშტი
1 სექტემბერი	ბელგია	სპა
15 სექტემბერი	იტალია	მონცა
29 სექტემბერი	აშშ	ინდიანაპოლისი
13 ოქტომბერი	იაპონია	სუპერ-ლაგუნი



მოსკოვის ტრასა ჯერ მხოლოდ მაგეტზე არსებობს


ლოდინი და მწუსარება

ამ დღეებში ჩრდილოეთ ამერიკაში თვითმფრინავი კი არა, ბუზიც ვერ შეფრინდება. მეორე დღეა, ფრანკფურტის აეროპორტში აღამებს ტორონტოს უნივერსიტეტის სტუდენტ პოკეისტა ნაერები. კერძობაში ტურნემოლოგულ სტუდენტებს გეზი ნიუ იორკისკენ უჭირავთ, თუმცა როდის გადაუფრენენ თქვანეს, არავინ იცის. ამიტომაც ბიჭები თავიანთ ბარგზევე მიყრილან და ძინაგთ.

ამასობაში კი პოკეის ეროვნული ლიგის გუნდები წვრთნას შედგობიან. „დეტროიტ რედ უინგზი“ მშობლიურ ყინულზე ვარჯიშობს. რა თქმა უნდა, მოვარჯიშებაც წუთით გაქვავდნენ და თავანჯინდრულნი შეუერთდნენ საერთოეროვნული მწუსარების წუთს. ფოტოზე სერგეი ფილიპოვისა და სტივ ანდერსონს ხედავთ.



REUTERS ფრანკფურტიდან



ეროვნული გიგანტობა

ნიჩ ასპანელია



REUTERS კოვადინგადან

შპშმ გახურებულ ესპანეთის ველოტურს, გუელტას ხუთი დღის თავზე ახალი ლიდერი ჰყავს, ესპანელივე ოსკარ სევილია. იგი მეორე ადგილზე გასულა მეხუთე დღის ტრასაზე, ხიხონსა და კოვადინგას ტბას შუა რომ გაჭიმულიყო ნჩი კილომეტრზე და ახლა სიაბოვნებით იღებს მილოცვას დიად მიგელ ინდურაინისგან, რომელსაც თავის დროზე ხუთჯერ ზედიზედ მოუგია ტურ დე ფრანსი.



REUTERS ნაურუდან

დიმიტრი, გრეგუარის ძაა

ბრძოლა, იაშვილს, საქართველოს მორაგბეთა საერების წევრს, ვაჟს განთქმულ მიშელ იაშვილისას, ყველანი ვიცნობთ. მაგრამ კოტას თუ გვიანხავს ვრეგუარის უმცროსი ძმა, დიმიტრი, რომელიც ასევე მორაგბეა, საფრანგეთის ახალგაზრდულ ნაერებში თამაშობს, საკლუბო რაგბის კი ინგლისში, „გლოსტერში“ მისდევს. ამ ფოტოზე „გლოსტერისა“ და „სარასენზის“ მატჩის ის მომენტი აღბეჭდილი, როცა დიმიტრი (ბურთით) მოწინააღმდეგისგან დასწლტოვას ცდილობს.



მკვრელი

ნაშრ შიოფლითს ყველაზე პატარა რესპუბლიკაა, თუმცა ერთი სპორტსმენი მაინც ჰყავს. ზონზროხა გოლიათი ჯერარდ ჯონსი ბაერის ტყორცნაშია დახელოვნებული, ოღონდ კი ყოველდღიური ვარჯიშისას ბაერის ზოგავს და ველოსიპედის ბორბლებს ისერის ტრიალ მინდორში.

საზრანგუთი II დიპიჯიონი, VIII ტური გას-ჰალი — მარტინი გაჯაულო	ინგლები ლივის თასი, II მტაპი ტოტანაში 2.0 ტორი
--	---

სარბიელი
სკორტული გაჯეთი
გამოცემა 1990 წლის
28 დეკემბერიდან
გამოცემის საგზააბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევის და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჯორჯანიანი
დირექტორი გიორგი ოქროშაძე
რედაქტორი თამაზ მიხრაიული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბუნიკაძე
ფეხბურთის რედაქტორი სოსო კიტრონიძე
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქტორი რედაქტორი მარაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი, ვიორგი დარჯანია, ვიორგი ნაშვილი, დევიდ თავართილაძე, კობა ინსარიძე, მამუკა კანჭავაძე, პაატა კვარცხელიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქტორი

რმაციის რედაქტორი კია ახალაძე, ვიო ასელიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ათანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე, ფოტორეპორტიორები გურამ დოლიძე, პატიკი კეთილაძე, სტილი-სტები მათა აბუხანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გიორგობიანი, კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გულუაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, სონია ვოლოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტლანა ლევანაძე, მაგდა დოვარაშვილი, კასა თალაკვაძე, ტრისტან კასურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია
გამომშვები ზურაბ ნაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ჯაზაგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საზოტო მისამართი: თბილისი — 79, საზოტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული მისამართი http://www.sarbieli.com.ge